

ადოლფო გიოი კასარასი

მორალის გამობრუნება

რომანი

ესპანურიდან თარგმნა
ნინო ფიფიამ



გამომცემლობა ინტელექტი
თბილისი

ადოლფო ბიოი კასარესი
მორელის გამომგონება

Adolfo Bioy Casares
LA INVENCION DE MOREL

რედაქტორი
ზვიად კვარაცხელია

დამკაზადონებელი
ლიკა სსირტლაძე

გარეკანის დიზაინერი
თეონა ჭანიშვილი

ISBN 978-9941-458-53-8

© ADOLFO BIOY CASARES, 1940, and Heirs of ADOLFO BIOY CASARES

© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2015.

*

დღეს კუნძულზე საოცრება მოხდა: ზაფხული ნაადრევად დადგა. საწოლი საცურაო აუზთან დავდგი და გვიანობამდე ვბანაობდი. დაძინება შეუძლებელი იყო. ორი ან სამი წუთით წყლიდან ამოსვლა კმაროდა, რომ წყალი, რომელსაც საშინელი ბულისაგან უნდა დავეცავი, ოფლად ქცეულიყო. გამთენიისას ფონოგრაფმა გამაღვიძა. ნივთების ასაღებად მუზეუმში ვერ დავბრუნდი. მამინვე ნაპირისკენ გავიქეცი. ახლა კუნძულის სამხრეთ კიდეზე ვარ, წყალმცენარეებში ჩაფლული და მწერებისგან განამებული. ზღვის ჭუჭყიანი წყალი წელამდე მწვდება და ვხვდები, სულელურად ავჩქარდი გაქცევისას. მგონი, ეს ხალხი ჩემს საძებრად არ მოსულა. იქნებ არც ვუნახივარ არავის, მაგრამ ვიცი ჩემი ბედის ამბავი. ყველაფერს მოკლებული ვცხოვრობ კუნძულის ყველაზე უვარგის, დაჭაობებულ კუთხეში, რომელსაც კვირაში ერთხელ ზღვა სრულიად ფარავს.

ამ ყველაფერს იმიტომ ვწერ, რომ აქაური უბადრუკი საკვირველების მოწმე დავტოვო. თუ რამდენიმე დღეში არ დავიხრჩობი ან თავისუფლებისათვის ბრძოლაში არ მოვკვდები, ვიმედოვნებ, დაწვერო ტრაქტატი „სიტყვა გადარჩენილთა წი-

ნაშე“ და „ქება მალთუსისა“¹. აქედან თავს დავესხმები მათ, ვინც ფიტავს ტყეებსა და უდაბნოებს. დავუმტკიცებ, რომ უნაკლო პოლიციელებით, დოკუმენტაციით, ჟურნალისტიკით, რადიო-ტელეფონითა და საბაჟო პუნქტებით სავსე სამყარო მართლმსაჯულების ნებისმიერ შეცდომას გამოუსწორებელს ხდის, რომ ის დევნილთათვის სრული ჯოჯოხეთია. აქამდე, ამ ერთი გვერდის გარდა, არაფერი დამინერია, ამასაც კი ვერ წარმოვიდგენდი გუშინ. რამდენი საქმე აქვს ადამიანს უკაცრიელ კუნძულზე! როგორი დაუძლეველია ხის სიმყარე აქ! რამდენად ფართოა სივრცე და რა პატარაა მასში მონავარდე ფრინველი!

აქ მოსვლა ერთმა იტალიელმა შთამაგონა, კალკუტაში ხალიჩებს ჰყიდდა. ასე მითხრა (თავის ენაზე):

– თქვენნაირი დევნილისთვის ერთადერთი ადგილი მეგულება ქვეყანაზე, მაგრამ იქ არ იცხოვრება. კუნძულია. სადღაც 1924 წელს იქ თეთრმა ხალხმა მუზეუმი, სამლოცველო და საცურაო აუზის მშენებლობა წამოიწყო. სამუშაოები დასრულებულია, თუმცა, იქაურობა მიტოვებულია.

გავანყვეტინე. მინდოდა კუნძულამდე მიღწევაში დამხმარებოდა. ვაჭარმა გააგრძელა:

– მაგ კუნძულს არც ჩინელი მეკობრეები ეკარებიან, არც როკფელერის ინსტიტუტის თეთრი გემები. ავადმყოფობის კერაა, მეტად იდუმალი ადგილია, დაავადება შიგნიდან კლავს.

¹ იგულისხმება ინგლისელი მეცნიერი, დემოგრაფისტი და ეკონომისტი თომას მალთუსი (1766-1834). იკვლევდა სიღატაკის მიზეზებს და ერთ-ერთ გამოსავლად ასახელებდა მოსახლეობისა და არსებობის საშუალებათა ზრდის თანაფარდობას.

ადამიანს ფრჩხილები სძვრება, თმა სცვივა, კანი და თვალის რქოვანა უჭკნება. ავადმყოფის სხეული რვა თუ თხუთმეტ დღეს ძლებს. როცა იაპონურმა კრეისერმა „ნემურამ“ მიაგნო ეკიპაჟს, რომელიც კუნძულს იკვლევდა, აღმოჩნდა, რომ ეკიპაჟის ყველა წევრი გატყავებული, უთმო, უფრჩხილო და მკვდარი იყო.

მაგრამ ჩემი ცხოვრება ისეთი საზარელი იყო, გადავწყვიტე ნავსულიყავი... იტალიელმა ჩემი გადარწმუნება სცადა, მაგრამ ამაოდ. იმდენი მოვახერხე, რომ დამეხმარა კიდევც.

წუხელ ამ უკაცრიელ კუნძულზე უკვე მეასედ მეძინა... ვუყურებდი შენობებს და ვფიქრობდი, თუ რა დაჯდებოდა ამ ქვების აქამდე მოტანა და რა ადვილად გაკეთდებოდა აგურის ღუმელი. გვიან დავიძინე. ალიონზე მუსიკამ და ყვირილის ხმამ გამაღვიძა. გაქცეულ ადამიანს ფხიზლად სძინავს: დარწმუნებული ვარ, არც გემი მოსდგომია კუნძულს, არც თვითმფრინავი და არც დირიჟაბლი, მაგრამ ზაფხულის ამ ცხელ ღამეს, მოულოდნელად, გორაკი ხალხით გაივსო. ცეკვავენ, სეირნობდნენ და აუზში ისე ნებივრობდნენ, თითქოს ლოს ტეკესში თუ მარიენბადში დიდი ხნის წინ ჩამოსული დამსვენებლები ყოფილიყვნენ.

*

შერეული წყლების ჭაობიდან ვუყურებ გორაკის შემად-
ლებულ ნაწილს, დამსვენებლებს, რომლებიც მუზეუმში და-
სახლებულან. შესაძლოა, მათი იდუმალი გამოჩენა ნუხან-
დელი სიცხით დაბინდული გონების ბრალია. მაგრამ ეს არც
ჰალუცინაციაა და არც მოჩვენებების თავშეყრის ადგილი: ნამ-
დვილი ადამიანები არიან, ყოველ შემთხვევაში, ისეთივე ნამ-
დვილი, როგორც მე ვარ.

ზუსტად ისე აცვიათ, რამდენიმე წლის წინ რომ ეცვათ:
მოხდენილად, მაგრამ (მე ასე მგონია) თავქარიანად. უნდა
ვალღარო, რომ დღეს მაგიური უახლესი წარსულის გაღმერთება
საკმაოდ ხშირია.

ვინ იცის, რატომ ინება ბედისწერამ, რომ მე, სიკვდილის-
თვის განწირულს, გამუდმებით მედევნებინა თვალი ახალ-
მოსულთათვის. ისინი კი ცეკვავენ იქ, სადაც უამრავი ქვე-
წარმავალია, გორაკის შემადლებულ ნაწილზე. ჩემი უნებლიე
მტრები არიან: მოვიდნენ, რათა უსმინონ „ვალენსიას“ და „ჩაი
ორისათვის“, რომლის ხმასაც ყოვლისშემძლე ფონოგრაფი
მთელ კუნძულზე ფანტავს და ქარისა თუ ზღვის ხმაურს
ახშობს. მართმევენ ყველაფერს, რისთვისაც დაუღალავად
ვიშრომე, რათა არ მოვმკვდარიყავი, უნდათ, მიმიმწყვიდონ
შხამიანი ჭაობის კუთხეებში.

იმ თამაშში, რასაც მათი ჭვრეტა ჰქვია, საფრთხესაც ვხე-
დავ: როგორც განათლებული ადამიანების ნებისმიერ ჯგუფს,
მათაც ეცოდინებათ ციფრული ანაბეჭდებისა და საკონსულო
ხრიკების შესახებ, რომელსაც მაშინვე გამოაჩენენ, როგორც კი
მიპოვიან. სხვადასხვა ცერემონიისა და ფორმალობის შემდეგ
კი ალბათ მაშინვე ციხეში მიკრავენ თავს.

ვაზვიადებ: მათ ერთგვარი კმაყოფილებით ვუმზერ, რამდენი ხანია, არ მინახავს ადამიანები – საზარელი უცხოტომელები. მაგრამ გამუდმებით მათი ცქერა შეუძლებელია.

პირველი: იმიტომ, რომ უამრავი საქმე მაქვს, რადგან ამ ადგილს შეუძლია კუნძულის ყველაზე მოხერხებული ბინადარიც კი მოკლას, მე კი ახალმოსული ვარ და არც საჭირო იარაღები მაქვს.

მეორე: შეიძლება გამომიჭირონ, ან ამ ადგილების შემოვლისას მიპოვონ. თუ ამის არიდება მინდა, ბუჩქებში სამალავი უნდა მოვიწყო. დაბოლოს, მათი დანახვა საკმაოდ რთულია: გორაკის თავზე არიან, რის გამოც, იმისთვის, ვინც ქვემოდან უთვალთვალებს, ფიგურები მკრთალია. კარგად მხოლოდ მაშინ ვარჩევ, როცა ისინი ნაპირებს უახლოვდებიან.

უბადრუკ მდგომარეობაში ვარ. ამ ჭაობში სწორედ მაშინ მიწვევს ცხოვრება, როცა ზღვის მიქცევა-მოქცევა ყველაზე წყალუხვია. რამდენიმე დღის წინ წყლის დონემ ისე აინია, აქამდე რომ არ მინახავს.

შეზინდებისას ტოტების ძებნას ვიწყებ და მათ ფოთლებით ვფარავ. უკვე აღარ მიკვირს, წყალში რომ მეღვიძება. დაახლოებით დილის შვიდი საათისთვის მოქცევა იწყება, ხანდახან უფრო ადრეც. კვირაში ერთხელ წყლის დონე ისე მაღლა იწევს, შესაძლოა, უკანასკნელიც კი გახდეს ჩემთვის. ხეზე ნაჭდევს ვტოვებ და დღეებს ასე ვითვლი. ერთი შეცდომა და ფილტვები წყლით ამეხვება.

უსიამოვნო შეგრძნება მაქვს, მგონი, დღიური ნელ-ნელა ანდერძს ემსგავსება. თუ სხვაგვარად შეუძლებელია, იმას მაინც ვცდი, ჩემი ნაამბობის გადამონმება სხვამაც შეძლოს, იმიტომ, რომ თუ ოდესმე ვინმეს ჩემს სიტყვებში ეჭვი

შეეპარება, არ ეგონოს, რომ ვტყუი მაშინაც, როცა ვამტკიცებ, რომ მართლმსაჯულება უსამართლოდ მომექცა. ამ დღიურს ლეონარდოს მონოდებას დავურთავ თავში: *Ostinato rigore*¹ და ვეცდები, მკაცრად მივსდიო მას.

*

მგონი, კუნძულს ვილინგსი ჰქვია და ელისეს არქიპელაგს² ეკუთვნის (*მეექვება ასე იყოს. ავტორი ახსენებს გორაკს და სხვადასხვა სახეობის ხეებს. ელისეს კუნძულები, იგივე ლაგუნა დაბლობია, სადაც მხოლოდ მარჯნის რიფებზე შეფენილი ქოქოსის პალმები ხარობს. რედაქტორის შენიშვნა*). ზუსტი ინფორმაცია იტალიელი ვაჭრის – დალმაციო ომბრელიერისაგან შეგიძლიათ მიიღოთ (იდერაბადის ქუჩა 21, რამკრიშნაპურის გარეუბანი, კალკუტა). რამდენიმე დღე სწორედ ეს იტალიელი მაჭმევდა, სანამ სპარსულ ხალიჩებში ვიყავი გახვეული. მერე გემის ტრიუმში მომათავსა. არ მინდა ამ დღიურში ხსენებით მისი კომპრომეტირება. განა უმადური ვარ... ჩემი „სიტყვა გადარჩენილთა წინაშე“ ყველა ეჭვს გაფანტავს: როგორც რეალურ დროში, ასევე ადამიანთა მესხიერებაში, სადაც ალბათ ნამდვილი სამოთხეა, აღმოჩნდება, რომ ომბრელიერი გულმონყალე იყო უსამართლოდ დევნილი მოყვასისადმი, რის

¹ (იტალ.) „დაფინებული სიმკაცრით“.

² ჯილბერტისა და ელისეს კუნძულები – ბრიტანეთის კოლონია, რომელიც მოგვიანებით ორად გაიყო. ჯილბერტის კუნძული კირიბატის რესპუბლიკა გახდა, ელისესი კი – ტუვალუსი.

გამოც უკანასკნელი მოგონებაც კი ამ იტალიელზე დადებითი იქნება.

რაბაულში გემით ჩავედი. მოვაჭრის ბარათით სიცილიის საზოგადოების ყველაზე ცნობილ წევრს მივაკითხე. მთვარის ვერცხლისფერ შუქზე, მოლუსკების გადამამუშავებელი ქარხნის ბულში უკანასკნელი ინსტრუქციაც მივიღე და მოპარული ნავიც. გაცხარებული ვმუშაობდი, კუნძულამდე რომ მიმეღწია (კომპასს ვერაფერი გავუგე, ორიენტაცია დამეკარგა, უქუდოსა და ავადმყოფს კი ჰალუცინაციები დამეწყო). ნავი აღმოსავლეთ სანაპიროს ქვიშებზე გაჩერდა (რაც ნამდვილად კუნძულის ირგვლივ შეფენილი მარჯნის რიფების ბრალი იყო). ნავში ერთ დღეზე მეტხანს დავრჩი და იმ საზარელ დღეებში ჩაკარგული, ვერც ვხვდებოდი, რომ უკვე კუნძულზე ვიყავი.

*

მცენარეები უხვადაა კუნძულზე. გაზაფხულის, ზაფხულის, შემოდგომისა და ზამთრის ბალახები თუ ყვავილები ერთმანეთს სწრაფად ენაცვლებიან, დაბადება უფრო ეჩქარებათ, ვიდრე კვდომა, იპყრობენ მიწასა და დროს, არნახული სისწრაფით ხშირდებიან. სამაგიეროდ, ხეებს შეჰყრია ავადმყოფობა, ქერქი გამომხმარია, ტანი კი – ძლიერ დაღარული. ამ ფაქტს ორგვარად ვხსნი: ან ბალახი აცლის ნიადაგს მთელ ძალას, ან ხის ფესვებმა ქვის ფენამდე ჩააღწია. ის ფაქტი, რომ შედარებით მომცრო ხეები უფრო ჯანსაღად გამოიყურება, მაფიქრებინებს, რომ მეორე მოსაზრება უფრო სარწმუნოა. გორაკზე ამოზრდილი ხეები ისეთი მყარია, მათ დამუშავებას

აზრი არა აქვს, არც ქვემოთ შეფენილი ხეები ვარგა რამედ, თითების ოდნავ შემოჭერაც კი კმარა, რომ ხელში მსუბუქი, ფქვილოვანი ნაწილებისგან შემდგარი წებოვანი მასა შეგრჩეს.